



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000020137362120

№ 19-ი

03 / ივლისი / 2020 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის „სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ მის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისათვის უვადოდ და უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ #52 განკარგულების შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული ქონება, ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება - მარკა kamaz 53229, ავტოცისტერნა, სარეგისტრაციო ნომერი NII809II, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული სარგებლობის ვადით ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრზე“ გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელმმართველად



გიორგი ლამბაშიძე